განკარგულება:**g-63. 632621514**
თარიღი:**03/08/2026**

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №2260 განკარგულების საფუძველზე, „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“, 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე 2026 წლის 16 ივლისის №1 შეთანხმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-17 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება შესაბამისად საქართველოს საკანონმდებლო აქტით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით, სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებების ხელშეკრულებით დელეგირების შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. სათანადო ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტსა და შესაბამის სამინისტროს შორის, ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით. ხელშეკრულებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 მარტის №g-63.632608212 განკარგულებით დამტკიცებულია საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ, 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის 2026 წლის 16 ივლისს გაფორმდა „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №2260 განკარგულების საფუძველზე, „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“, 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე №1 შეთანხმება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ, 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №2260 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“, 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე 2026 წლის 16 ივლისის №1 შეთანხმება.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი